

ტესტი ისტორიაში

III ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-15

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რომელმა მონარქმა დაიპყრო შუმერის ქალაქ-სახელმწიფოები?

- ა) აშურბანიპალმა;
- ბ) ნაბუქოდონოსორმა;
- გ) სარგონმა;
- დ) თუტმოსმა.

2. რომელი მოვლენა უკავშირდება ფინიკიელთა სახელს?

- ა) პირველი იეროგლიფური დამწერლობის შექმნა;
- ბ) კანონთა პირველი კრებულის შემუშავება;
- გ) საბრძოლო ეტლების გამოგონება;
- დ) ხმელთაშუაზღვისპირეთის კოლონიზაცია.

3. რომელი ქალაქი ედგა სათავეში ძვ. წ. 480 წელს ბერძენთა გაერთიანებულ სამხედრო ძალებს?

ა) ათენი;

ბ) სპარტა;

გ) კორინთო;

დ) თებე.

4. რა სახელითაა ცნობილი სხვადასხვა ტომის მიგრაცია რომის იმპერიის ტერიტორიაზე IV-V საუკუნეებში?

ა) ბარბაროსული კოლონიზაცია;

ბ) ხალხთა დიდი გადასახლება;

გ) დიდი ბარბაროსული ხანა;

დ) დიდი ომიანობა ევროპაში.

5. რა უკავშირდება კარლოს დიდის მოღვაწეობას?

- ა) ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება;
- ბ) იმპერატორის ტიტულის მიღება;
- გ) სასულიერო-სარაინდო ორდენების შექმნა;
- დ) ბრიტანეთის კუნძულებზე ლაშქრობა.

6. რომელი მსჯელობაა მართებული ქართველი მეფეების მოღვაწეობასთან დაკავშირებით?

- ა) ბაგრატ III-ს აფხაზთა და ქართველთა სამეფოების ტახტი ერგო მემკვიდრეობით, რამაც ერთიანი ქართული სამეფოს ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი;
- ბ) გიორგი I-მა იმიერტაო და კახეთ-ჰერეთის სამეფო შემოიერთა, რითაც საქართველოს გაერთიანება დაასრულა;
- გ) ბაგრატ IV-მ ხანგრძლივი ალყის შემდეგ თბილისი გაათავისუფლა, რამაც ქალაქში მუსლიმთა ოთხასწლიანი ბატონობა დაასრულა;
- დ) გიორგი II-მ თურქ-სელჩუკები დაამარცხა და ქვეყნიდან განდევნა, რამაც სამხრეთ კავკასიაში საქართველოს საუკუნოვან ჰეგემონიას დაუდო სათავე.

7. რომელი მსჯელობა არ არის მართებული III ჯვაროსნულ ლაშქრობასთან დაკავშირებით?

- ა) რიჩარდ ლომგული ეგვიპტის მმართველ სალადინს დაუზავდა;
- ბ) ალექსი კომნენოსმა ხანგრძლივი ალყის შემდეგ იერუსალიმი აიღო;
- გ) ფრიდრიხ ბარბაროსა მცირე აზიის ერთ-ერთ მდინარეში დაიხრჩო;
- დ) ფილიპე II ავგუსტი ლაშქრობის დასრულებამდე სამშობლოში დაბრუნდა.

8. რას წარმოადგენდა კორტესები?

- ა) პროტესტანტული ეკლესიის მმართველ საბჭოს გერმანიაში;
- ბ) ელიტარულ სამხედრო შენაერთს საღვთო რომის იმპერიაში;
- გ) ქალაქების ვაჭართა გაერთიანებას საფრანგეთში;
- დ) წოდებრივ-წარმომადგენლობით ორგანოს ესპანეთში.

9. რამ შეუშალა ხელი ოსმალებს კონსტანტინოპოლის აღებაში XV საუკუნის დამდეგს?

- ა) ანგორის ბრძოლაში დამარცხებამ;
- ბ) სულთნის მოულოდნელმა გარდაცვალებამ;
- გ) ლეპანტოს ბრძოლისთვის მზადებამ;
- დ) ილხანთა წინააღმდეგ ბრძოლამ.

10. რომელი მსჯელობაა მართებული დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქასთან დაკავშირებით?

- ა) ინგლისელებმა რიჩარდ ჰოუკინსის მეთაურობით მიაღწიეს ამერიკის უკიდურეს სამხრეთ კონცხს;
- ბ) ფრანგებმა ამერიგო ვესპუჩის წინამძღოლობით პირველებმა ევროპელთა შორის მიაღწიეს ინდოეთს;
- გ) პორტუგალიელებმა ბართოლომეუ დიაშის ხელმძღვანელობით პირველებმა მიაღწიეს ავსტრალიას;
- დ) ესპანელებმა ფერნანდო მაგელანის მეთაურობით პირველებმა შემოუარეს ირგვლივ დედამიწას.

11. რა შედეგით დასრულდა სამხრეთ კავკასიისათვის ირან-ოსმალეთის ომი XVI საუკუნის ბოლოს?

ა) დამყარდა ირანის გავლენა;

ბ) ირანმა და ოსმალეთმა შუაზე გაიყვეს;

გ) გაბატონდა ოსმალეთი;

დ) დაპყრობა ვერც ერთმა ვერ შეძლო.

12. რა სახელითაა ცნობილი ლუი XIV-ის მეფობის პერიოდში პარიზში მომხდარი ამბოხება?

ა) ჟაკერია;

ბ) ივლისის რევოლუცია;

გ) ფრონდა;

დ) სამი სახელოვანი დღე.

13. რომელ ბრძოლაში დაამარცხა საფრანგეთის იმპერატორმა ავსტრიელებისა და რუსების გაერთიანებული ჯარი?

- ა) აუსტერლიცის;
- ბ) ვატერლოოს;
- გ) ტრაფალგარის;
- დ) სედანის.

14. რომელი მსჯელობაა მართებული საქართველოში XIX საუკუნეში მეფისნაცვლების მოღვაწეობის პერიოდთან დაკავშირებით?

- ა) აიკრძალა ქართველების მიღება სამხედრო სასწავლებლებში;
- ბ) გაუქმდა დასავლეთ საქართველოში არსებული სამთავროები;
- გ) შეიზღუდა ქართველი თავად-აზნაურების უფლებები;
- დ) დასრულდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია.

15. საქართველოს რომელი ისტორიული რეგიონი მოექცა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად?

ა) გურია;

ბ) აჭარა;

გ) ჯავახეთი;

დ) აფხაზეთი.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 16-18

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

16. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ძველი რომის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. კონსულების არჩევნების დაწესება;
2. პირველი ტრიუმვირატის შექმნა;
3. სენატის დაფუძნება.

17. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ევროპაში რელიგიური ომების ეპოქასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. აუგსბურგის რელიგიური ზავი;
2. ბურბონთა დინასტიის გამეფება;
3. ბართლომეს ღამე.


18. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XVIII საუკუნის II ნახევარში საქართველოში განვითარებული მოვლენები:


1. „მორიგე ლაშქრის“ შექმნა;
2. კრწანისის ბრძოლა;
3. „გეორგიევსკის ტრაქტატის“ გაფორმება.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 19

თქვენ წინაშეა ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის აღმწერი ორი სხვადასხვა ტიპის წყარო: ბრძოლის სქემა და ტექსტი. შეაჯერეთ ორივე წყაროში არსებული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს მხოლოდ წყაროებში არსებული ინფორმაციის მიხედვით. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.





შვედეთთან ომის დაწყების შემდეგ პეტრე I-მა უპირველეს მიზნად ქალაქის აღება დაისახა. შემოდგომაზე რუსთა ლაშქარმა ქალაქის გარშემო მოიყარა თავი. შვედები ამ ქალაქის გარდა მდინარის მეორე ნაპირზე მდებარე გამაგრებულ პუნქტ ივანგოროდსაც აკონტროლებდნენ, რომელთანაც ალყის მიუხედავად, პირდაპირ კავშირს ინარჩუნებდნენ. ქალაქისა და ივანგოროდის ალყაში მოქცევასთან ერთად, რუსებმა რამდენიმე კილომეტრზე გადაჭიმული ორმაგი მიწაყრილიც ააგეს. რუსთა ლაშქარი მრავალრიცხოვნობის მიუხედავად წარმატებას ვერ აღწევდა, ალყა გაჭიანურდა. ამ დროს ქალაქისაკენ შვედეთის მეფე დაიდრა. როცა პეტრე I-ს შვედების მოახლოების შესახებ აცნობეს, მეფემ ბანაკი დატოვა და მეთაურობა სხვას ჩააბარა. რუსთა ლაშქარი მიწაყრილთან იყო განლაგებული. მიწაყრილის უკიდურესი სამხრეთით რუსთა კავალერია იდგა, უკიდურესი ჩრდილოეთით კი მდინარეზე ხიდი იყო გადებული. შუადღეზე შვედები შეტევაზე გადავიდნენ.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე.

კითხვები:

(1) **19.1.** რომელი ქალაქის აღებას ცდილობდნენ რუსები?

(1) **19.2.** დაასახელეთ რუსთა ლაშქრის კონკრეტულად რომელმა ნაწილმა დაიხია ბრძოლის მსვლელობისას სამხრეთისაკენ.

(1) **19.3.** შეასრულა თუ არა მიწაყრილმა თავისი ფუნქცია? საკუთარი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ მხოლოდ მოცემულ წყაროებში არსებული ინფორმაციით.

(1) **19.4.** რომელმა მეზობელმა მხარემ გამოიყენა ჩრდილოეთით მდებარე ხიდი და რა მიზნით?

ინსტრუქცია დავალებისათვის № 20

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.





კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე.

კითხვები:

(2) **20.1.** რა ეწოდებოდა ოფიციალურად სახელმწიფოს, სადაც შეიქმნა მოცემული ილუსტრაცია? ილუსტრაციაზე არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ ის თქვენ მიერ დასახელებულ სახელმწიფოში შეიქმნა?

(2) **20.2.** რა არის ილუსტრაციის მთავარი იდეა? საკუთარი მოსაზრება დაასაბუთეთ ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 21


დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.



რუკის პირობითი აღნიშვნები

- ქალაქი
- ⊙ დედაქალაქი
- ⊠ ალყა
- ⚑ რომაელთა მიერ აღებული ქალაქები
- 1** დაკიის სამეფო
- 2** ბოსფორის სამეფო
- 3** სომხეთის სამეფო
- 4** პართიის სამეფო
- ⬜ რომაელთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიები
- ⋯ რომაელთა თავდაცვითი ზღუდე
- ✘ ბრძოლის ადგილი
- თ რ ა კ ი ა - რომის პროვინცია
- ➔ რომაელთა ლაშქრობა 101-102 წლებში
- ➡ რომაელთა ლაშქრობა 105-106 წლებში
- ➡ რომაელთა ლაშქრობა 114-117 წლებში
- ➡ დაკების ლაშქრობის მიმართულება



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე.

კითხვები:

(1) **21.1.** რომელი საუკუნის ვითარებაა ასახული რუკაზე?

(1) **21.2.** რუკის მიხედვით, დაასახელეთ რომაელთა მიერ აზიაში აღებული ქალაქები.

(1) **21.3.** დაასახელეთ რუკაზე არსებული ქართული პოლიტიკური ერთეულების დედაქალაქები.

(1) **21.4.** რუკის მიხედვით, რომელი ქალაქები მდებარეობდა რომაელთა მიერ შავიზღვისპირეთში ახალდაპყრობილ ტერიტორიაზე?

(1) **21.5.** რუკის მიხედვით, რომელი სამეფოების ტერიტორიები დალაშქრეს რომაელებმა აზიაში?

(2) **21.6.** რუკის მიხედვით, ვის ებრძოდნენ რომაელები ევროპაში და საბოლოოდ რაში გამოიხატა მათი გამარჯვება ამ ომში?

(2) **21.7.** რუკის მიხედვით, ვინ უქმნიდა საფრთხეს რომის იმპერიას გალიის საზღვართან? საკუთარი მოსაზრება დაასაბუთეთ მხოლოდ რუკაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.

(2) **21.8.** რუკის მიხედვით, რომელი ქალაქის ალყა დასრულდა რომაელთათვის წარუმატებლად? საკუთარი მოსაზრება დაასაბუთეთ მხოლოდ რუკაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 22 და 23

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

დავალება 22

რომის პაპი, პიუს II ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. მისი აზრით, ამ წამოწყებაში აღმოსავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა. 1459 წელს მან საქართველოში თავისი ელჩი ლუდოვიკო ბოლონიელი გამოგზავნა. საქართველოს მეფის კარზე თათბირი გაიმართა: ფეოდალთა ერთი ნაწილი ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაბმის მომხრე იყო, ხოლო მეორე ნაწილი - მოწინააღმდეგე.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც საქართველოს ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაბმის მომხრე თავის პოზიციას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც საქართველოს ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაბმის მოწინააღმდეგე თავის პოზიციას დაიცავდა.

დავალება 23

პირველი მსოფლიო ომის დროს აშშ-ში აქტიურად განიხილებოდა ომში ჩაბმის საკითხი. პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფი ემხრობოდა ომში ჩაბმას, მეორე კი - ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც ომში ჩაბმის მომხრე თავის პოზიციას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც ომში ჩაბმის მოწინააღმდეგე თავის პოზიციას დაიცავდა.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 24

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი დავალება და შეაფასეთ მასში მოცემული ისტორიული პროცესის მნიშვნელობა. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

დავალება 24

VII-VIII საუკუნეებში არაბთა დაპყრობითი ომები მიმდინარეობდა.

კითხვები:

- (1) **24.1.** დაასახელეთ ამ ისტორიული პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი.
- (1) **24.2.** შეაფასეთ ამ შედეგის მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიისათვის. აუცილებლად მოიყვანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 25

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.



ნაწყვეტი „ქართლის ცხოვრებიდან“

მეფე დემეტრე დავაჟკაცდა. სახელმწიფო საქმეებს კარგად განაგებდა. მას ასეთი ჩვეულება ჰქონდა, აიღებდა ფულს და ღამით მოივლიდა ქალაქს, მოინახულებდა გლახაკებს და თავისი ხელით დაურიგებდა ფულს. ყველამ იცოდა ეს ამბავი და ამიტომ გლახაკნი ღამ-ღამობით ქუჩებში გამოდიოდნენ.

სადუნს დიდი გავლენა ჰქონდა, რადგანაც იგი მეტად გააძლიერა ყაენმა. სადუნმა მეფე დემეტრესგან მიიღო თელავის, ბელაქნისა და სხვა მრავალი მხარის მმართველობა. იმ ხანებში გაძლიერდა მეჭურჭლეთუხუცესი ბექა ჯაყელი. მან დაიპყრო სრულიად მესხეთი.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

დამშვიდდა ქვეყანა და ყოველ მხრივ იყო მშვიდობა. მოხედა წყალობით ღმერთმა თავის მოიმედეებს და იყო უხვად პური და ღვინო. მეფე დემეტრე განაგებდა სამეფო საქმეებს. რადგან ცოტა მოიცალეს ჭირთაგან და მოისვენეს, საღმრთო გზისგან გადაუხვიეს და იწყეს განდგომა. მეფემ მოიყვანა სამი ცოლი, ასევე სადუნმაც სამი ცოლი მოიყვანა. მთავრებმა დაიწყეს საყდართა და მონასტერთა შევიწროება.

მეფე დემეტრეს ტრაპიზონის იმპერატორის ასულისგან ჰყავდა შვილები: დავითი, ვახტანგი, ლაშა, მანოველი და ასული რუსუდანი. მონღოლის ასულისგან - ორი ძე, ბადური და იადგარ და ასული ჯიგდა. ბექას ასულმა მხოლოდ ერთი ძე გაუჩინა - გიორგი. ყაენ არღუნს ემსახურებოდა დემეტრე მეფე და მას დიდად ეხმარებოდა ნოინი ბულა.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე.

ნიკოლოზ კათოლიკოსი ხშირად საყვედურობდა და ამხელდა მეფეს, მაგრამ ვერ დაარწმუნა. მაშინ ნიკოლოზმა დატოვა კათოლიკოსობა და აკურთხა კათოლიკოსად მეფის ჯვრისმტვირთველი აბრაჰამი. თვით კი წავიდა თავის მამულში და იქ იმყოფებოდა დამაშვრალი მარხვით, მღვიძარებით, გლახაკთა მოწყალებით. იმ ხანებში მთაწმინდიდან მოვიდა ბასილი მონაზონი. მივიდა მეფესთან და როგორც მოციქული ამხელდა და ეწინააღმდეგებოდა მეფეს მისი უწესო ქორწინების გამო.

არღუნ ყაენს განუდგნენ დარუბანდელნი და წავიდა ყაენი დარუბანდში და წაიყვანა თან მეფე დემეტრე. შევიდნენ დარუბანდში. დარუბანდელებმა თავი შეაფარეს ციხე-სიმაგრეს. მონღოლები გარს შემოერტყნენ ციხეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მაშინ

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

ყაენმა არღუნმა უბრძანა მეფეს, რათა მათ შეეციათ, რადგან იგი მეტად ძლიერი იყო. მეფე და მისი ჯარი შეესივნენ ციხეს და აიღეს.

გავიდა დრო და მიავლინა ყაენმა ნოინები, რომლებიც თავს დაესხნენ ბუღას და შეიპყრეს იგი, აიღეს მთელი მისი სიმდიდრე და მოიყვანეს ყაენტან. მან კი მაშინვე ბრძანა მისი და მისი ძის მოკვლა. წარავლინეს ხალხი საბერძნეთში, შამში და ხვარასანში და მრავალი დიდი ნოინი მოკლეს. მეფე დემეტრესთან გამოაგზავნა ელჩი ყაენმა და მოიწვია იგი თავისთან.

როცა გაიგო მეფემ ბუღას სიკვდილი, მეტად შეწუხდა. მან მოიხმო აბრაჰამ კათოლიკოსი და ეპისკოპოსები, მონასტერთა და გარეჯის უდაბნოს მღვდელ-მონაზონნი და თავისი სამეფოს ყველა მთავარი. მეფემ ბრძანა: „თქვენი თანადგომით

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე.

წარმართე მეფობა. განრისხებულია ყენი და ახლა მეც მიხმობს. თუ მთიულეთში წავალ, იქ გავმაგრდები და დავიცავ თავს. მაგრამ მთელი ჩემი სამეფო მათ წინაშეა. წარმოიდგინეთ, რამდენი ქრისტიანი მოკვდება. ეკლესიები მოოხრდება. თუ წავალ, დანამდვილებით ვიცი მომკლავს. რა სარგებლობა ექნება ჩემს ცხოვრებას, თუ ჩემ გამო მრავალი ადამიანი მოკვდება და ცოდვით დამძიმებული წავალ ამ სოფლიდან. მე მსურს, რომ წავიდე ყაენთან. იყოს ღვთის ნება. თუ მე მომკლავენ, ჩემი ქვეყანა უვნებელი დარჩება“.

როცა ეს მოისმინეს, ასეთი პასუხი მიუგეს: „შენი შემცვლელი არ არის, მეფეო. ჩვენ გირჩევთ, წახვიდე მთიულეთში ან აფხაზეთში, როგორც ეს მამაშენმა გააკეთა. არ არის საჭირო თავის გაწირვა“.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

მეფემ კი უპასუხა: „თქვენ ჩემი ერთგულებისა და სიყვარულის გამო ამბობთ ამას. მე კი მეზრალეა უდანაშაულო ერი, როგორც ცხვარი, რომელსაც არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა და არსაიდან აქვს ნუგეშისცემა. მე დავდებ ჩემს სულს ჩემი ერისათვის და არ დავიშლი წასვლას“. კათოლიკოსმა თქვა: „თუ შენ დასდებ შენს სულს ერისათვის, ჩვენ ეპისკოპოსები ვიტვირთავთ შენს ცოდვებს“.

მეფემ გადაწყვიტა წასვლა. ყაენს კი უკვე გამოეგზავნა ერთი ნოინი. ეს ნოინი გზად შემოხვდა მეფეს, შეიპყრო და მიიყვანა არღუნ ყაენთან. ბილწებმა გაბედეს და ღვთის მიერ ცხებულს, მეფე დემეტრეს მოჰკვეთეს თავი.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.

(„ქართლის ცხოვრების“ ადაპტირებული ვერსიის მიხედვით. გამომცემლობა „ახალი ივერონი“. ტ. 2. თბილისი 2012 წ.)

კითხვები:

(1) **25.1.** წყაროს მიხედვით, რამ განაპირობა სადუნის სიძლიერე და გავლენა?

(1) **25.2.** წყაროს მიხედვით, კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა სადუნის სიძლიერე და გავლენა?

(1) **25.3.** წყაროს მიხედვით, რა იყო ქართველების მიერ „საღმრთო გზისგან“ გადახვევის მიზეზი?

(1) **25.4.** წყაროს მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ, რისი კეთება დაიწყო მთავრებმა მას შემდეგ, რაც ქართველებმა „საღმრთო გზისგან“ გადაუხვიეს და იწყეს განდგომა?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

- (1) **25.5.** წყაროს მიხედვით, სად ილაშქრა დემეტრე მეფემ და რა იყო ამის მიზეზი?
- (1) **25.6.** რას ვუწოდებთ სახელმწიფოს, რომელსაც არღუნ ყაენი განაგებდა?
- (1) **25.7.** თქვენი აზრით, რატომ დაიბარა განრისხებულმა ყაენმა თავისთან მეფე?
- (2) **25.8.** სრულად ჩამოთვალეთ, თუ რა ინფორმაციას გვაწვდის წყარო ბექა ჯაყელის შესახებ.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(2) **25.9.** წყაროს მიხედვით, ვინ ეწინააღმდეგებოდა მეფის ცხოვრების წესს და ჩამოთვალეთ, თუ რაში გამოიხატა ამ ადამიანების პროტესტი?

(2) **25.10.** წყაროს მიხედვით, დაწერეთ ორი მიზეზი, რომლებიც მეფემ დაუსახელა თავისი პირველი მიმართვისას თათბირის მონაწილეებს საკუთარი გადაწყვეტილების დასასაბუთებლად.

(2) **25.11.** წყაროს მიხედვით, რა არგუმენტით ცდილობდნენ მეფესთან გამართული თათბირის მონაწილეები დემეტრესთვის განზრახვის შეცვლას და რას ურჩევდნენ სანაცვლოდ?

(2) **25.12.** წყაროში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ ყენი არ ელოდა დემეტრე მეფის მასთან გამოცხადებას და თქვენი აზრით, რატომ?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)